ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4398082

ნომერი: AR1662956

თარიღი : 26.02.2019

გაცემის თარიღი : 04.03.2019

გაცნობის თარიღი : 05.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი გარდაბანი , N 42;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ლოლუა პ/ნ 01010000842
- თბილისი, წუცუბიძის მე-2 მ/რ, 1 კვ, კორპ 7, ბ 21

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3637589
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.10.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

- პირველ რიგში საჭიროა დაასრულოთ დარჩენილი სამუშაოები.
- კონდიციონერების აგრეგატები მოაწყვეთ ერთიანი გადაწყვეტის პრინციპით და შეფუთეთ დეკორატიული ელემენტებით.
- საჭიროების შემთხვევაში დაცულ იქნეს მიჯნები.
- ვინაიდან დარღვეულია შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული გეგმარება საჭიროა წარმოადგინოთ შენობის არსებული მდგომარეობის ანაზომი პროექტი, დეტალიზაციებით და „N41“ დადგენილების შესაბამისად დამუშავებულ ანალიზის ცხრილებთან ერთად. პროექტი დამოწმებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.
- მოაწყვეთ სახანძრო სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლი.
- ვინაიდან დარღვეულია შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული გეგმარება საჭიროა წარმოადგინოთ არსებული მდგომარეობის საექსპერტო შეფასება „N41“ დადგენილების შესაბამისად. საექსპერტო დასკვნას თან უნდა ახლდეს პასუხისმგებელი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები.
- ვინაიდან მშენებლობა ნაწარმოებია დარღვევით საჭიროა წარმოადგინოთ კონსტრუქციული დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით. დასკვნას თან უნდა ახლდეს პასუხისმგებელი პირის საკვალიფიკაციო მონაცემები.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.